

გიორგი გახარია : ” აშშ საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია დემოკრატიის და კანონის უმენაესობის გაძლიერებაში ”



საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან პროდუქტიული შეხვედრა შედგა.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო რუსური ოკუპაციის, რეგიონის გეოპოლიტიკის, შავი ზღვის უსაფრთხოების, ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხებს.

„აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან იყო პროდუქტიული შეხვედრა, რომელმაც რუსური ოკუპაციის, რეგიონის გეოპოლიტიკის, შავი ზღვის უსაფრთხოების, ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხები დაფარა. აშშ საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია დემოკრატიის და კანონის უმენაესობის გაძლიერებაში. საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა უფრო დინამიური და ის განაგრძობს განვითარებას“, – აღნიშნა გიორგი გახარიამ „ტვიტერის“ გვერდზე.

მიკრობლოგ “ტვიტერში” აშშ–ს სახელმწიფო მინისტრის ვიზიტს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერდენტი სადომე ბურაბიშვილი. მისი თქმით რეგიონს ახლა ნატო-სკენ კონკრეტული ნაბიჯები და

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სჭირდება.

„გავკასია ცვლილებებს განიცდის და მნიშვნელოვანია, რომ აშშ უფრო პროაქტიური გახდეს და მხარი დაუჭიროს შავი ბღვის უსაფრთხოებას და თვუპირებუდი ტერიტორიების შესახებ სამშვიდობო მოლაპარაკებებს. უფრო კონკრეტული ნაბიჯები ნატო-სკენ და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება არის ის, რაც რეგიონს სჭირდება“, – წერს საქართველოს პრეზიდენტი “ტვიტერის” გვერდზე.

სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდეგ მიკრობლოგ “ტვიტერში” განცხადება გაავრცელა.

„ნაყოფიერი საუბარი მქონდა ჩემს კოლეგებთან და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მტკიცე, დინამიური თრმხრივი ურთიერთობა არის მყარი საფუძვედი ჩვენი საერთო ფასეულობებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთგულების“, – წერს პომპეო.

მაიკ პომპეო საქართველოს ორდლიანი ვიზიტით გუშინ ეწვია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პირველი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ სარომე ზურაბიშვიდთან გამართა. მოგვიანებით, მთავრობის ადმინისტრაციაში მაიკ პომპეო პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ბაღვაჯიან შეხვდა. მოგვიანებით, შეხვედრა გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესა და სასულიერო პირებთან. მაიკ პომპეომ ასევე შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.